პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 173 (10259) | შაბათი, 23 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი

ჟენევა, 21 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დღისით სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურები შეიკრიბნენ მორიგ სხდომაზე.

თავმჯდომარეობდა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ა. ბულგანინი. მან განაცხადა, რომ ოთხ მინისტრს დღეს დილით ჰქონდა სხდომა, რომელზეც გაუზიარეს ერთმანეთს აზრი იმ დირექტივის საკითხზე, რომლითაც მათ შეეძლებათ იხელმძღვანელონ მომავალში თათბირის დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვის დროს. მინისტრებმა ზოგ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ არ დაუმთავრებიათ აღნიშნული დირექტივის მოსამზადებელ წინადადებათა განხილვა.

ამასთან დაკავშირებით, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მინისტრებს განეგრძოთ აზრთა ურთიერთგაზიარება, რათა შეთანხმებული წინადადება მოუმზადონ მთავრობათა მეთაურებს.

დ. ეიზენჰაუერი, ე. ფორი და ა. იდენი დაეთანხმნენ თავმჯდომარის წინადადებას.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ზოგიერთი დამატებითი მოსაზრებანი გამოთქვა ევროპის უშიშროების საკითხთან დაკავშირებით.

— ახლა, — თქვა ნ. ა. ბულგანინმა, — ჩვენ ყველანი თანახმა ვართ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე, ისევე როგორც სხვა წინადადებებიც ამ საკითხზე, რომლებიც დისკუსიის მსვლელობაში შეტანილია, განსახილველად დადაეცეთ საგარეო საქმეთა მინისტრებს. მაგრამ ამ საკითხების განსახილველად და მათ შესახებ საჭირო შეთანხმების მისაღწევად შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული დრო, მით უფრო, რომ გარკვეულ სტადიაზე განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმაც. ამავე დროს ევროპაში შექმნილი ვითარება ისეთია, რომ საჭიროა ახლავე განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა არ დაეშვათ, რომ ევროპაში შეიქმნას ლდგომარეობა, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ევროპის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა, რომ ამ მიზანს შეესაბამება ის, რომ ევროპაში არსებულ დაჯგუფებათა მონაწილე სახელმწიფოებს შორის დაიდოს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ეს სახელმწიფოები ვალდებულებას იკისრებენ თავი შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან თუ ძალის გამოყენების დამუქრებისაგან და თავიანთი უთანხმოება და დავა მოაგვარონ მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

აღნიშნა რა, რომ ასეთი ხელშეკრულება ხელს შეუწყობდა ევროპაში დაძაბულობის შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განტკიცებას, ნ. ა. ბულგანინმა საბჭოთა დელეგაციის სახელით თათბირის განსახილველად შეიტანა წინადადება, რომელშიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები. (წინადადების ტექსტი იბეჭდება გაზეთის ამ ნომერში).

მთავრობათა მეთაურებმა გადაწყვიტეს საგარეო საქმეთა მინისტრების წინასწარ განსახილველად გადასცენ საბჭოთა წინადადება.

თათბირის მონაწილენი შემდეგ შეუდგნენ დღის წესრიგის მესამე პუნქტის — შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე განცხადება გააკეთა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ა. ბულგანინმა.

— საბჭოთა დელეგაციას, — თქვა მან, — საჭიროდ მიაჩნია იმის დამატებად, რაც მე ვთქვი შეიარაღების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე 18 ივლისის განცხადებაში, გამოთქვას ზოგიერთი მოსაზრებანი და თათბირის განსახილველად შემოიტანოს შესაბამისი წინადადებანი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ჯერ კიდევ არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებისადმი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. ჩვენი სურვილია, თქვა მან, ვიცოდეთ მათი თვალსაზრისი ჩვენ შიერ დასმულ საკითხზე.

ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ განიარაღების ფართო პროგრამის განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ბოლო მოეღება „ცივ ომს“ და სახელმწიფოთა ურთიერთობაში დამყარდება საჭირო ნდობა, რომელიც, სამწუხაროდ, ახლა არ არის. უწინარეს ყოვლისა სწორედ ამას უნდა მოვახმაროთ ერთობლივი ღონისძიებანი.

მოაგონა რა სხდომას, რომ შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობას ჩამოყალიბებული აქვს დეკლარაციის პროექტში, რომელიც შეტანილია 10 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში, ნ. ა. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა „ცივი ომის“ შეწყვეტაზე იმიტომ კი არ ლაპარაკობს, რომ ეს „ცივი ომი“ სსრ კავშირს უფრო მეტად აწუხებს, ვიდრე სხვებს, არამედ იმიტომ, რომ ვთარება, რომელიც იქმნება „ცივი ომის“ შედეგად, შეუთავსებელია თათბირის მონაწილეთა საერთო სურვილთან — მიაღწიონ კარგ ურთიერთობას ერთმანეთს შორის.

ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა: მიზანშეწონილი იქნება ერთად ვურჩიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიღოს ასეთი ან ამის მსგავსი დეკლარაცია იმის შესახებ, რომ შეწყდეს „ცივი ომი“, შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და დამყარდეს საჭირო ნდობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზულად ვილაპარაკოთ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებაზე.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შემდეგ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას აგრეთვე მიზანშეწონილად მიაჩნია, რათა თათბირი შეთანხმდეს იმაზე, რომ საჭიროა განხორციელდეს ზოგიერთი ძირითადი ღონისძიება განიარაღების დარგში. საქმე ეხება ისეთ ღონისძიებებს, რომელთა გამო ამ თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა პოზიციები ან მთლიანად თანაემთხვევა ან მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ფიქსირებულ იქნას მიღწეული შეთანხმება ხუთი დიდი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების დონეთა შესახებ.

ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში სსრ კავშირის მთავრობა დაეთანხმა დასავლეთის სახელმწიფოების წინადადებებს — დაწესდეს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთისათვის შეიარაღებული ძალების დონე 1-1,5 მილიონი კაცის როდენობით თვითეული ამ სახელმწიფოსათვის და 650 ათასი კაცი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის თვითეულისათვის. ნ. ა. ბულგანინმა ამასთან აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებიც შეეხება ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს, განხილულ უნდა იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობით. რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, თვითეული მათგანის შეიარაღებული ძალების დონე შეიძლება არ აღემატებოდეს 150-200 ათას კაცს, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას შესაბამის საერთაშორისო კონფერენციაზე.

თავის განცხადებაში ნ. ა. ბულგანინმა ილაპარაკა აგრეთვე მეორე დიდმნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება ატომურ იარაღს. მან თქვა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა განხორციელდეს ეტაპებად და რომ შესაბამისი წინადადებანი, შედგენილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციების გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია თათბირის გადაწყვეტილების პროექტში განიარაღების საკითხებზე, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შემოიტანა.

საჭიროა, განაცხადა შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა, მივაღწიოთ თანხმობას იმაზე, რომ სანამ ძალაში შევიდოდეს შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვის შესახებ, თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა საქვეყნოდ იკისრონ ვალდებულება — არ გამოიყენონ ეს იარაღი. გამონაკლისი ამაში შეგვიძლია დავუშვათ მხოლოდ აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, განაცხადა ნ. ა. ბულგანინმა, რომ ჩვენ ყველას მიგვაჩნია, რომ უნდა დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი. აღნიშნული საკითხების გამო შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება თათბირზე ბევრად გაადვილებდა განიარაღების საერთაშორისო კონვენციის ნომზადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭიროა უკვე ამ თათბირზე, სანამ დაიდებოდეს საერთო საერთაშორისო კონვენცია, რასაც შეიძლება დასჭირდეს გარკვეული დრო, მივაღწიოთ შეთანხმებას, რომ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი იკისრებენ ვალდებულებას პირველებმა არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, და მოუწოდებენ ყველა სხვა სახელმწიფოს შეუერთდნენ ამ დეკლარაციას.

ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა, რომ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა შესაბამისად საბჭოთა დელეგაციას თათბირის განსახილველად შეაქვს პროექტი ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის გადაწყვეტილებისა შეიარაღების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებზე. (საბჭოთა წინადადების პროექტი ქვეყნდება გაზეთის ამ ნომერში).

ჩამოაყალიბა რა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია განსახილველ საკითხში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ არა სურს დაიწყოს აკადემიური მსჯელობა, არამედ ილაპარაკებს საკითხის პრაქტიკულ მხარეზე.

ეიზენჰაუერმა თქვა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს გაინიარაღება. მაგრამ ამბებმა, რომლებიც საზღვარგარეთ მოხდა, ცხადყო, ეიზენჰაუერის სიტყვით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძალიან შორს წავიდნენ განიარაღების პროგრამის განხორციელებაში და რომ ამიტომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ დაიწყეს თავიანთი შეიარაღებული ძალების განვითარება. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს შეინარჩუნონ და, თუ საჭიროება მოითხოვს, გაადიდონ თავიანთი სამხედრო ძლიერება დროის იმდენად შორი პერიოდისათვის, რამდენიც საჭირო იქნება მშვიდობის დასაცავად. მაგრამ მშვიდობის დაცვისა და ამერიკის შეერთებული შტატების საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალება, თქვა მან, არის სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შევამციროთ ყველა ქვეყნის შეიარაღებული ძალების დონე და ოდენობა.

ამიტომ, თქვა ეიზენჰაუერმა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მზად არის შეუერთდეს მიზანშეწონილ ხელშეკრულებას, რომელზე დაყრდნობაც შესაძლებელი იქნება და რომელიც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ შეიარაღება. მან თქვა: არ შეიძლება მივაღწიოთ გონივრულ და საიმედო შეთანხმებას, თუ იგი არ იქნება სავსებით დაკავშირებული ინსპექციისა და პუბლიკაციის სისტემასთან. დღემდე, ეიზენჰაუერის სიტყვით, ჯერ კიდევ არ არის გამონახული მეთოდი მეცნიერული ინსპექციის ან სხვა ინსპექციისა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ატომური იარაღის გაუქმებას. ამიტომ, თქვა ეიზენჰაუერმა, წარსულში შემოტანილი ბევრი წინადადება განიარაღების შესახებ უფრო შორს მიდის, ვიდრე ეს შეიძლება გაკეთდეს ინსპექციის ეფექტიანი სისტემის საფუძველზე.

შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი მომართავს უმთავრესად სსრ კავშირის დელეგაციას, რამდენადაც ორივე დიდ ქვეყანას — სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ახალი საშინელი იარაღი, რომელიც იწვევს უეცარი თავდასხმის შიშს, და წინადადება შემოაქვს, რომ ორივე ქვეყანამ განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებს, განაცხადა ეიზენჰაუერმა, ეკუთვნის ის, რომ ერთმანეთს გადასცენ სამხედრო ძალების სრული გეგმები. მისცენ ერთმანეთს შესაძლებლობა, რომ ჰაერიდან გადაიღონ ქვეყნის ყოველი ნაწილი, რათა თავიდან აცილებულ იქნას უეცარი თავდასხმის შესაძლებლობა. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ეს ხელს შეუწყობდა ინსპექციის უფრო ეფექტიანი სისტემის დაწესებას და გაინიარაღებას, და მხოლოდ დასაწყისი იქნებოდა.

დ. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ მისი წინადადებაა დაევალოთ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებს განიარაღების ქვეკომიტეტში მათი მუშაობის შესრულებისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიანიჭონ პრიორიტეტი ინსპექციისა და გამოქვეყნების სისტემას. ასეთი სისტემა შეიძლება შეიცავდეს ინსპექციის მეთოდების თანდათანობით შემოწმებას. ეს, ეიზენჰაუერის აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ურთიერთნდობის განვითარებას, რომელიც გზას გაუხსნიდა პროგრესს ყველა ხალხისათვის.

პრეზიდენტმა თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის უზრუნველყოფა სახელმწიფო მოღვაწეთა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა და რომ უშიშროება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მოთმინებითი მუშაობის საფუძველზე.

ე. ფორმა საფრანგეთის დელეგაციის სახელით გამოთქვა სოლიდარობა ეიზენჰაუერის განცხადებისადმი. მან გამოთქვა რწმენა, რომ თათბირი ახალ ბიძგს მისცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მუშაობას და რომ მთელი რიგი რეკომენდაციები უნდა მიეცეთ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ამ ქვეკომიტეტში. ე. ფორმა თქვა, რომ კონტროლის საკითხი განიარაღების საკითხის გულია და რომ მოსაზრებანი, რომლებიც ეიზენჰაუერმა მოიყვანა, გვარწმუნებენ, რომ შეიძლება ზოგი რამ მოეწყოს კონტროლის დარგში. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მეთოდები საბიუჯეტო კონტროლისა, რომელსაც, მისი სიტყვით, შეუძლია შეავსოს სისტემა კონტროლისა ინსპექციის გზით.

განიარაღების საკითხის ცენტრი, განაგრძო ე. ფორმა, არის თვითეული სახელმწიფოს განიარაღება. სანამ შეამცირებდეთ შეიარაღებას, იგი უნდა შეავზღუდოთ, და დავაწესოთ დონე, რომელიც არ უნდა იქნეს გადაჭარბებული. მას შემდეგ, რაც გადწყდება, რომ შეიარაღება არ გაიზიდოს, შეიძლება განხორციელდეს ლონისძიებანი მის შესამცირებლად. ე. ფორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ უნდა დაყარდეს კავშირი შეიარაღების შემცირებასა და განთავისუფლებული სახსრების სხვა მიზნებზე გადანაცვლებას შორის.

დასასრულ ე. ფორმა განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაციას განზრახული აქვს შემოიტანოს მემორანდუმი ამ საკითხზე.

ინგლისის დელეგაციის პოზიცია ჩამოაყალიბა ა. იდენმა. მან თქვა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისი თავდაპირველად ამცირებდა თავის შეიარაღებულ ძალებს. მაგრამ, რადგან, მისი სიტყვით, ყველამ ვერ მიიჩნია შესაძლოდ შეემცირებინა თავისი შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება ევროპაში მაღალ დონეზე რჩებოდა, ინგლისმა დაიწყო ხელახლა შეიარაღება და ამ ხელახალი შეიარაღების მსვლელობაში შექმნა ატომური ბომბი და ამჟამად აწარმოებს წყალბადის ბომბს.

ა. იდენმა შემდეგ განაცხადა, რომ იგი მიესალმება საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც შეტანილია 10 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში, რადგან ეს წინადადებანი შეიცავენ მთელ რიგ პუნქტებს, რომლებსაც შეიცავდნენ ინგლის-საფრანგეთის წინადადებანი. იდენმა თქვა, რომ სასურველია გაგრძელდეს საბჭოთა წინადადებებისა და სხვა წინადადებათა განხილვა ხსენებულ ქვეკომიტეტში.

ა. იდენმა შემდეგ განაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს ეიზენჰაუერის აზრს, რომ განიარაღების ვერავითარი გეგმა ვერ იქნება მისაღები, თუ არ გაითვალისწინებს ინსპექციისა და გამოქვეყნების სისტემას, რომელიც საჭიროა ინგლისისათვის, რომ ეს გეგმა განხორციელდეს თვითეულ ეტაპზე. იდენმა თქვა, რომ ამ საკითხში ყველა თითქოს თანახმაა.

ინგლისის დელეგაციის მეთაურმა თქვა, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით სწორად მოიქცა, როცა 10 მაისის თავის წინადადებებში ერთმანეთს დაუკავშირა განიარაღების საკითხი და სახელმწიფოთა შორის ნდობის შექმნის საკითხი. არ შეიძლება მოველოდეთ, განაცხადა მან, რომ ქვეყნებს შორის ნდობა იმდენად ძლიერი იყოს, რომ შეიძლებოდეს შევადგინოთ განიარაღების საერთო გეგმა და ერთსა და იმავე დროს ავამოქმედოთ იგი. ეს ამოცანა სტადიებად უნდა გადაწყდეს. ამასთან დაკავშირებით იდენმა განაცხადა, რომ იგი სოლიდარულია ეიზენჰაუერის წინადადებისადმი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ. შემდეგ იდენმა განაცხადა, რომ მას აქვს მცირედი წინადადება, რომელიც შეიძლებოდა დაუყოვნებლივ გამოგვეყენებინა. ამ წინადადების არსი ის არის, რომ გარკვეულ ზონაში იმ ხაზების ორივე მხარეზე, რომლებიც ყოფენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, საინსპექციო რაზმები, რომლებსაც დანიშნავს ორივე მხარე, უნდა ახორციელებდნენ მეთვალყურეობას. იდენმა დასძინა, რომ მისმა წინადადებამ შეიძლება ახალი ბიძგი მისცეს მუშაობას, რომელსაც ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი.

თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ გულახდილ განცხადებებს, რომლებიც სხდომაზე გააკეთეს მთავრობათა მეთაურებმა, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება პრობლემის დადებითად გადაჭრისათვის. მან გამოთქვა აზრი, რომ უნდა ვცადოთ შევიმუშაოთ შეთანხმებული რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, და შეიტანა წინადადება დაეგალოთ საგარეო საქმეთა მინისტრებს მოამზადონ ამ რეკომენდაციების პროექტი.

დ. ეიზენჰაუერმა გამოთქვა თანხმობა ამ წინადადებისადმი, განაცხადა რა, რომ ეს წინადადება საუკეთესო პროცედურაა საკითხის განსახილველად.

ე. ფორი და ა. იდენიც შეუერთდნენ ნ. ა. ბულგანინის წინადადებას.

ამით დამთავრდა სხდომა. ხვალ საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან სხდომაზე დილის ათ საათზე. მთავრობათა მეთაურების სხდომა გაიმართება დღისით.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

საბჭოთა ხალხის უდიდესი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. პლენუმმა, რომელიც 4-12 ივლისს გაიმართა, განიხილა ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ; ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება მრეწველობის, სოფლის შედეგების, ნათესების ოთვლის, მოსავლის აღების ჩატარებისა და 1955 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ; ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებების შედეგების შესახებ; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ყველა განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ეს გადაწყვეტილებები კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის, შრომისა და გამარჯვებათა სამოქმედო პროგრამაა.

პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში სოციალისტურმა მრეწველობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ ჩვენი პარტია თანმიმდევრულად და გამუხრჭნელად ახორციელებს ვ. ი. ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის ი. ბ. სტალინის განდერძს საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერების ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და განმტკიცების შესახებ.

საბჭოთა ადამიანებს ახარებს იმის შეგნება, რომ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლედში მრეწველობის განვითარების შესახებ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც სრულდება. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მიხედვით შესრულდა 1955 წლის 1 მაისისათვის, ესე იგი 4 წელიწადსა და 4 თვეში.

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ეს შედეგები მოწმობენ სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

მძიმე მრეწველობა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძველია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მძიმე ინდუსტრიის განსაკუთრებულ განვითარებას. ვადამდე სრულდება წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. 1955 წლის დამლევისათვის წარმოების საშუალებათა წარმოება 84 პროცენტით გადიდდება 1950 წელთან შედარებით და საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 70 პროცენტზე მეტი იქნება. ომისშემდგომი ხუთწლედების დიდი მიღწევაა გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ვოლგაზე — კუიბიშევსა და სტალინგრადში და ციმბირის მდინარეებზე.

მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, წინ მიდის მსუბუქი და კვების მრეწველობა. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დონე 1955 წელს 72 პროცენტით გადაჭარბებს 1950 წლის წარმოების დონეს ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 65 პროცენტისა.

პლენუმმა შეაჯამა სოციალისტური მრეწველობის მიღწევები, ბოლშევიკური პირდაპირობით გამოამჟღავნა ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის ამ დარგში და შეიმუშავა მათი უსწრაფესი ლიკვიდაციის ღონისძიებანი. მიუხედავად წარმატებებისა, სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში ბევრი ნაკლი და ხარვეზია. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ნელა ინერგება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, ცუდად იყენებენ არსებულ რეზერვებს. მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობებზე ჯერ კიდევ საკმარისი არ არის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, არის ნაკლოვანებანი წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის დამუშავებასა და ათვისებაში. სამინისტროები და საწარმოები არ იყენებენ მრეწველობაში არსებულ რეზერვებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება, ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდას. პლენუმის ეს მითითებანი პირდაპირ შეეხება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, რომელმაც 1955 წლის პირველ კვარტალთან შედარებით უკანასკნელ თვეებში საგრძნობლად გაუმჯობესა მადნის მოპოვება, მაგრამ მაღალნაყოფიერი და რენტაბელური მუშაობის ყველა შესაძლებლობა მთლიანად როდია გამოყენებული. დმიტროვისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროებში მექანიზმების მოცდენის შემთხვევებია. სანგრევებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მადნის გადარჩევას, ხოლო მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკებში ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთი საწარმო ცუდად მუშაობს, ბევრმა ასრულებს. მექანიკური ქარხნის კონსტრუქტორები თავს არ იწუხებენ იმისთვის, რომ გადასინჯონ მანქანათა იმ ნაწილების კონსტრუქციები, რომელთა დამუშავებაზე ლითონის დანაკარგები 80-85 პროცენტს შეადგენს.

სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. პლენუმმა დაავალა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს აამაღლონ მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დონე და მოუწოდა კომუნისტებს, კომკავშირელებს, მუშებს, ოტატებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს, მეცნიერების მოღვაწეებს და მოსამსახურეებს მიიღონ ღონისძიებანი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების დასახული პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის. პლენუმმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს გმირი მუშათა კლასი, ინტელიგენცია და ყველა მშრომელნი უზრუნველყოფენ მრეწველობის მძლავრ აღმავლობას და ამით ახალ წვლილს შეიტანენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. კომუნისტურმა პარტიამ ამოცანად დასახა უახლოეს წლებში მარცვლეულის ყოველწლიური მოსავალი აყვანილ იქნას 10 მილიარდ ფუთამდე, ორჯერ და უფრო მეტად გადიდდეს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება. ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის პრაქტიკულად განხორციელებისათვის უდიდესი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პლენუმმა უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს — სანიმუშოდ მოუყარონ ნათესებს, დროზე და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, ვადამდე შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმა, მთლიანად შეინახონ სათესლე ფონდები, საკმარისად უზრუნველყონ მეცხოველეობა საკვებით, მოიპოვონ ახალი წარმატებანი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებაში და ამის საფუძველზე გაადიდონ კოლმეურნეთა შრომადღის ფულადი და ნატურალური ანაზღაურება და მატერიალური კეთილდღეობა.

მოისმინა და განიხილა რა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შედეგები. ამ გადაწყვეტილებამ ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის საყოველთაო მოწონება და მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

ყველა კომუნისტის, მშრომელთა ფართო მასების მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია პლენუმის გადაწყვეტილებამ 1956 წლის 14 თებერვალს კომუნისტური პარტიის მორიგი XX ყრილობის მოწვევის შესახებ.

სკკპ XX ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. თავის XX ყრილობას კომუნისტური პარტია ეგებება სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებული უდიდესი წარმატებებით. XIX ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა კომუნისტური პარტიის ერთიანობა, მისი იდეური და ორგანიზაციული დარაზმულობა. პარტიამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

კომუნისტური პარტია გარემოსილია მილიონობით მშრომელთა სიყვარულითა და პატივ

სსრ კავშირის დელეგაციის პროექტი

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის გადაწყვეტილება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებზე

I.

იმ მიზნით, რომ შენელდეს დაძაბულობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, განმტკიცდეს ურთიერთნდობა მათ შორის და აღიკვეთოს ახალი ომის საფრთხე, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებს საჭიროდ მიაჩნიათ მიიღონ ღონისძიებანი, რათა უსწრაფესად დაიდოს საერთაშორისო კონვენცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში აზრთა გაცვლის შედეგად ისინი შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის შეიარაღებული ძალების დონე დაწესდება 1-1,5 მილიონი კაცის რაოდენობით თვითეული ამ სახელმწიფოსათვის; ინგლისისა და საფრანგეთისათვის — 650 ათასი კაცი თვითეულისთვის, ამასთან ჩინეთისათვის გათვალისწინებული დონის საკითხი, ისევე როგორც ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც შეეხება ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს, განხილულ უნდა იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მონაწილეობით.

შეიარაღებული ძალების დონე ყველა დანარჩენი სახელმწიფოსათვის არ აღემატება 150-200 ათას კაცს და შეთანხმებულ უნდა იქნას შესაბამის საერთაშორისო კონფერენციაზე.

2. ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა ძალაში შევა მას შემდეგ, რაც განხორციელდება ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება შემცირების შეთანხმებულ ოდენობათა 75 პროცენტით. სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ამ იარაღის ამოღება და მისი მოსპობა დამთავრდება მაშინ, როცა იწარმოებს შეიარაღების შემცირება შემცირების შეთანხმებულ ოდენობათა უკანასკნელი 25 პროცენტით. მთელი ატომური მასალები მაშინ გამოყენებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის.

3. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების დაწყებასთან ერთად ოთხი სახელმწიფო, სანამ ძალაში შევიდოდეს შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვის შესახებ, საქვეყნოდ კისრულობს ვალდებულებას არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი, რომელიც თავისთვის აკრძალულად მიაჩნიათ. გამონაკლისი ამ წესში შეიძლება დაშვებულ იქნას აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით, როცა უშიშროების საბჭო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

4. შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პროგრამის განხორციელებისათვის ერთ-ერთ პირველი რიგის ღონისძიებად სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ატომური და წყალბადის იარაღი, კისრულობენ ვალდებულებას შეწყვიტონ ამ სახეობათა იარაღის გამოცდა.

5. წესდება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

6. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა დაავალეს საგარეო საქმეთა მინისტრებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა მიაღწიონ საჭირო შეთანხმებას ზემოაღნიშნული კონვენციის ჯერ კიდევ შეუთანხმებელ საკითხებზე, კონვენციისა, რომელიც განხილულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

II.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურები, მტკიცედ აქვთ რა გადაწყვეტილი არ დაუშვან ატომგულისა და წყალბადის იარაღის გამოყენება, რომელიც ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღია, და იხსნან ხალხები გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან, საქვეყნოდ აცხადებენ:

სანამ დაიდებოდეს საერთაშორისო კონვენცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კისრულობენ ვალდებულებას პირველებმა არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ყველა დანარჩენ სახელმწიფოს შეუერთდნენ ამ დეკლარაციას.

შვეიცარიის პრეზიდენტმა საღილი გამართა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა დელეგაციების პატივსაცემად

ჟენევა, 21 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს შვეიცარიის პრეზიდენტმა მ. პტიპიერმა „ეინარის“ სასახლეში სადილი გამართა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა დელეგაციების პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. მ. მოლოტოვი, გ. კ. ჟუკოვი, ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის დესპანი შვეიცარიაში პ. ი. ერშოვი.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ სადილზე იყვნენ დ. ეიზენჰაუერი, ჯ. დალესი, დ. ანდერსონი, დ. ჰეგერტი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი შვეიცარიაში ფ. უილისი და მაიორი დ. ეიზენჰაუერი; ინგლისის მხრივ — ა. იდენი, ჰ. მაკმილანი, ნ. ბრუკი, ა. კირკპატრიკი, გ. კაჩია და ინგლისის ელჩი შვეიცარიაში ლ. ლემი; საფრანგეთის მხრივ — ე. ფორი, ა. პინე, ლ. ჟოქსი, რ. დე მარჟერი, ა. ბერარი და საფრანგეთის ელჩი შვეიცარიაში ე. დენერი.

სადილზე იყვნენ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. ჰამარშელდი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ევროპის განყოფილების დირექტორი ჟენევაში ა. პელტი და ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის გენერალური მდივანი პ. უილკინსონი.

შვეიცარიის მხრივ სადილზე იყვნენ: შვეიცარიის ვიცე-პრეზიდენტი მ. ფელდმანი, ფედერალური მრჩევლები გ. შტროილი, ტ. გოლენშტაინი და პ. შოდე, შვეიცარიის პარლამენტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გ. გენერლინი, შვეიცარიის გენერალური შტაბის უფროსი ლ. დე მონმოლენი, შვეიცარიის პოლიტიკური დეპარტამენტის (საგარეო საქმეთა სამინისტრო) გენერალური მდივანი ა. ცენდერი, პოლიტიკური დეპარტამენტის საოქმო განყოფილების გამგე ა. დომინიჩე, ჟენევის კანტონის მთავრობის მეთაური ფ. პერეარი, ქალაქ ჟენევის მერი ლ. ბიიი.

საკდესის ცნობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 20 ივლისს საიგონში (სამხრეთი ვიეტნამი) სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა აშკარა წაყრუებით მოხდა თავდასხმა შენობაზე, რომელიც უკავია ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას, და ამ კომისიის თანამშრომლებზე.

როგორც ცნობილი გახდა, საერთაშორისო კომისიის სათავესები დაარბიეს, საერთაშორისო კომისიის ავტომანქანები და სხვა ქონება მოსპეს და დააზიანეს. კომისიისა და მის თანამშრომელთა დოკუმენტების ნაწილი მოსპეს და დაიტაცეს. სერიოზული ზიანი მიაყენეს აგრეთვე საერთაშორისო კომისიის თანამშრომელთა პირად ქონებას. მათ წინააღმდეგ გამოყენებულია ძალადობა და შეურაცხყოფა.

ის ფაქტი, რომ აღნიშნული თავდასხმა მოხდა 20 ივლისს, ე. ი. ჟენევის შეთანხმების ხელის მოწერის წლისთავზე და იმ ვადაზე, რომელიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის წარმომადგენლებმა ურთიერთ კონსულტაციები დაიწყონ სრულიად ვიეტნამის არჩევნების მოწყობის საკითხზე, ცხადყოფს, რომ ეს თავდასხმა მომზადებულია წინასწარ, იგი აშკარა პროვოკაციული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ჟენევის შეთანხმებათა ჩაშლას და ინდოჩინეთში მშვიდობის დარღვევას.

როგორც საკდესმა შეიტყო, საიგონში მომხდარ პროვოკაციას გადაჭრით გმობენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში. საბჭოთა მთავრობა, რომლის წარმომადგენელი ჟენევის თათბირის ერთ-ერთი თავმჯდომარეა, ამასთან დაკავშირებით ნოტას უგზავნის ინგლისის მთავრობას, რომლის წარმომადგენელიც აგრეთვე იყო თავმჯდომარე ჟენევის თათბირისა ინდოჩინეთის შესახებ, და მიმართავს წინადადებით მიაპყროს ჟენევის თათბირის ყველა მონაწილის ყურადღება იმას, რომ საერთაშორისო კომისიის მიმართ აღნიშნული მოქმედება პირდაპირი დარღვევაა ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების 25-ე მუხლისა და ხელს უშლის იმას, რომ კომისიამ ნორმალურად განახორციელოს თავისი ფუნქციები, რაც საფრთხეს უქმნის ჟენევის შეთანხმებათა შესრულებას, და მოუწოდოს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებს და საფრანგეთის მთავრობას განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ვიეტნამში საერთაშორისო კომისიის უშიშროება და მისი ნორმალური საქმიანობის პირობები და შემდეგში დაშვებულ აღარ იქნას ასეთი აქტები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის I ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობის ზრდა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოება, მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის ცვლილება და კულტურული მშენებლობა 1955 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I.

წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

საერთო პროდუქციის წარმოების წლის პირველი ნახევრის გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 103 პროცენტით. ცალკეულმა სამინისტროებმა მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შემდეგნაირად შეასრულეს:

	1955 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	103
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	103
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	100,2
სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	103
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	104
ელექტროსადგურების სამინისტრო	102
ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	104
რადიოტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	103
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105
ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო	104
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105
საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	104
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	103
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	104
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	102
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	94
ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	99
სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	104
სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	104
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო	100,2
სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო	105
გზათა სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	107
სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	105
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	107
მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი და სათბობის მრეწველობის სამინისტროები და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები	106
სარეწაო კოოპერაცია	105

1955 წლის I ნახევარში უზრუნველყოფილი იყო შემდგომი აღმავლობა მრეწველობისა და პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1955 წლის პირველ ნახევარში გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო, რომ სამრეწველო წარმოების დონემ 1955 წელს 1950 წლის დონეს უნდა გადააჭარბოს დაახლოებით 70 პროცენტით. დროის წლიურ მონაკვეთში — 1954 წლის 1 მაისიდან 1955 წლის 1 მაისამდე — სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1950 წლის დონეს 71 პროცენტით გადააჭარბა. ამრიგად, მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის დარგში შესრულებულია ვადამდე — 1955 წლის 1 მაისისათვის, ესე იგი 4 წელიწადსა და 4 თვეში.

1955 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შესრულებულია ბევრი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა.

გადაჭარბებით შესრულებულია მძიმე მრეწველობის ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის: ნავთობის, ბენზინისა და ბენზინის, ნავთობის, ქვანახშირების, ფიქალების, რკინისა და მარგანეცის მადნის ამოღების, თუჯის, ფოლადის, შავი ლითონების ნაგლინის, ფოლადის მილების, ალუმინის, თუთიის, კალისა და სხვა ფერადი ლითონების, ბენზინის, დიზელის სათბობის, ელექტროენერგიის, ორთქლის ტურბინების, დიდი ჰიდრავლიკური ტურბინების, ტურბინგენერატორების, ჰიდროგენერატორების, 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის ელექტროძრავების, ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების, გაძლიერებული სიზუსტის ჩარხების, დიდი, მძიმე და უნიკალური ჩარხების, მეტალურგიული მოწყობილობის, საქსოვი დაზგების, სართავი მანქანების, ტრაქტორების, მარცვლეულის კომბაინების, სატრაქტორო კულტივატორების, სმინდის მოსავლის ასაღები და სილოსის ასაღები კომბაინების, რთული სალეწი მანქანების, საკვების დასამზადებელი აგრეგატების, სამაგისტრალო თბომავლებისა და ელექტრომავლების, სატვირთო და სამგზავრო სამაგისტრალო ვაგონების, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, მოტოციკლების, ექსკავატორების, ავტოგრეიდერების, ქვანახშირის კომბაინების, ბურთულსაკისარებისა და გორგოლაჭსაკისარების, კალცინირებული სოდის, კაუსტიკური სოდის, აზოტიანი სასუქების, საღებრების, სინთეზური კაუჩუკის, ავტოსაბურავების, აზბესტის, თაბაშირის მშრალი ბათქაშისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

წლის პირველი ნახევრის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ფართო მოხმარების საქონელი: ქსოვილები, ტანსაცმელი, ტყავისა და რეზინის ფეხსაცმელი, წინდის ნაწარმი, თეთრეული და ზედა ტრიკოტაჟი, საათები, საკერავი მანქანები, ფოტოაპარატები, ერბო-კარაქი, ყველი, რძე და რძის პროდუქტები, ძეხვეული, მაკარონის ნაწარმი, კონსერვები, ყურძნის ღვინო, ლუდი და სხვა სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

მაგრამ ზოგიერთმა სამინისტრომ არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი ცალკეულ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმის შესასრულებლად. მაგალითად, შავი მეტალურგიის სამინისტრომ ვერ შეასრულა ზოგიერთი სახეობის ნაგლინის წარმოების გეგმა, ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ — ზოგიერთი სახეობის ფერადი ლითონების წარმოების გეგმა, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ გადაჭარბებით შეასრულა მურა ნახშირების ამოღების გეგმა, მაგრამ ვერ შეასრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა, რადიოტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ტელევიზორების წარმოების გეგმა, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — საგლინავი მოწყობილობისა და დიზელების წარმოების გეგმა, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ — მძიმე და უნიკალური სამჭედლო-საწნეხი მანქანების წარმოების გეგმა, საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — სათოხნი ტრაქტორების „ბელარუსის“ წარმოების, მარცვალსაწმენდი მანქანების, სატრაქტორო სათესი მანქანების წარმოების გეგმა, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ — ქიმიური მოწყობილობისა და საანგარიშო მანქანების წარმოების გეგმა, ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ — გოგირდმჟავას და კალციუმის კარბიდის წარმოების გეგმა, საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრომ — ცემენტის, აგურის, რკინაბეტონის ნაწარმის, შიფერისა და ზოგიერთ სანიტარულ-ტექნიკურ და კერამიკულ ნაკეთობათა წარმოების გეგმა, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — მერქნის გამოზიდვის, ფართო ლიანდაგის შპალების, დახერხილი მასალებისა და სტანდარტული სახლების წარმოების გეგმა, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ — ქაღალდის, ავეჯისა და ფანერის წარმოების გეგმა, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ ვერ შეასრულა აბრეშუმის ქსოვილების წარმოების გეგმა, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ — ხორცის წარმოების გეგმა.

მაშინ როცა სამინისტროთა უმრავლესობამ მთლიანად შეასრულა წარმოების გეგმა, ქვანახშირის, საშენი მასალების მრეწველობის, თევზის მრეწველობისა და მთელი რიგი სხვა დარგების საწარმოთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ საგეგმო დავალებანი ვერ შეასრულა.

II.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით შეადგენდა:

	1955 წლის I ნახევარში პროცენტობით 1954 წლის I ნახევრისადმი
თუჯი	112
ფოლადი	110
ნაგლინი	111
ფოლადის მილები	108
რაფინირებული სპილენძი	114
თუთია	107
ტყვია	114
ქვანახშირი	112
მათ შორის საკოქსავი ქვანახშირი	110
ნავთობი	119
ბენზინი	118
ნავთი	141
დიზელის სათბობი	139
ბუნებრივი გაზი	114
ელექტროენერგია	112
ორთქლის ტურბინები	100
ჰიდრავლიკური დიდი ტურბინები	110
ტურბინგენერატორები	119
ჰიდროგენერატორები	112
დიდი ელექტრომანქანები	117
ელექტროძრავები	112
სამაგისტრალო ელექტრომავლები	122
სამაგისტრალო თბომავლები	121
სამაგისტრალო ორთქლმავლები	84
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები	138
ტროლეიბუსები	113
სატვირთო ავტომობილები	112
მსუბუქი ავტომობილები	113
ავტობუსები	100
მოტოციკლები	119
ბურთულსაკისარები და გორგოლაჭსაკისარები	115
მეტალურგიული მოწყობილობა	112
ექსკავატორები	105
ლითონსაჭრელი ჩარხები	116
მათ შორის დიდი, მძიმე და უნიკალური ჩარხები	126
მძიმე და უნიკალური სამჭედლო-საწნეხი მანქანები	167
ქიმიური მოწყობილობა	105
სართავი მანქანები	111
საქსოვი დაზგები	102
საანგარიშო მანქანები	127
ტრაქტორები	127
სატრაქტორო სათესი მანქანები	123
სატრაქტორო კულტივატორები	115
მარცვლეულის კომბაინები	122
ჭარხალკომბაინები	175
კარტოფილის ასაღები კომბაინები	169
სიმინდის ასაღები კომბაინები	300
რთული სალეწი მანქანები	186
მარცვალსაწმენდი მანქანები	123
კალცინირებული სოდა	109
კაუსტიკური სოდა	112
მინერალური სასუქები	121
ზხამქიმიკატები სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად	158
საღებრები	114
სინთეზური კაუჩუკი	109
ავტოსაბურავები	113
სამასალე მერქნის გამოზიდვა	103
ქაღალდი	104
ცემენტი	122
ფანჯრის მინა	113
შიფერი	118
რბილი სახურავი	113
აგური	113
რკინაბეტონის ნაწარმი	164
სპირტი	102
ზამბის ქსოვილები	107
სელის ქსოვილები	97
შალის ქსოვილები	102
აბრეშუმის ქსოვილები	98
წინდის ნაწარმი	114
სასაცვლე ტრიკოტაჟი	110
ზედა ტრიკოტაჟი	118
ტყავის ფეხსაცმელი	104
რეზინის ფეხსაცმელი	114
ველოსიპედები	121
რადიომიმღებები	122
ტელევიზორები	204
საკერავი მანქანები	125
საათები	122
ფოტოაპარატები	148
პიანინოები და როიალები	127
მაცივრები	131
სარეცხი მანქანები	339
ავეჯი	118
ძეხვეული	108
თევზი	104
ერბო-კარაქი	115
მარგარინი	100
რძის პროდუქტები	116
ყველი	123
მაკარონის ნაწარმი	115
კონსერვები	121
საპონი	100
ასანთი	123
ყურძნის ღვინო	106
შამპანური	123

ლითონის, ქვანახშირის, ნავთობის, მანქანებისა და მოწყობილობის, ელექტროენერგიის, ქიმიკატების წარმოების გადიდებამ შექმნა მრეწველობის ყველა დარგის პროდუქციის ზრდის უზრუნველყოფის პირობები.

რამდენადმე გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება მრეწველობაში. შავი მეტალურგიის სამინისტროს ქარხნებში ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენება 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით 5 პროცენტით გაუმჯობესდა, მარტენის ღუმელების ერთ კვადრატულ მეტრ ქვედზე ფოლადის მიღება 5 პროცენტით გადიდდა. ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შახტებში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა ქვანახშირის კომბაინების „დონბასის“ და ქვანახშირის დასატვირთავი მანქანების წარმადობა, მაგრამ შახტებში არსებული

(დასასრული მე-3 გვერდზე).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის I ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

დიდი წარმადობის სამთო ტექნიკა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული. ქვანახშირის მრეწველობაში დამაკმაყოფილებლად არ სრულდება შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის გეგმა, განსაკუთრებით ძირითადი ჰორიზონტალური მოსამზადებელი გამონამუშევრების გაყვანისას ქვანახშირისა და ქანების მექანიზებული დატვირთვით. ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გადიდდა გადამუშავებული ნედლეულიდან გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების გამოსავლის პროცენტი და გაძლიერდა საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვის სიჩქარე, მაგრამ ჯერ კიდევ დიდია საბურღავი მოწყობილობის მოცდენა. ელექტროსადგურების სამინისტროს ელექტროსადგურებში შემცირდა ელექტროენერგიის წარმოებაზე საუბობის ხვედრითი ხარჯი. საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა ცემენტის ღუმელებისა და ცემენტის წისქვილების წარმადობა.

დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული მანქანები და მექანიზმები სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადებებზე. ხე-ტყის სახერხი მრეწველობის მოწყობილობის წარმადობის დავალება წლის პირველ ნახევარში სამინისტროს არ შეუსრულებია. სატყეო მრეწველობის სამინისტროს არ შეუსრულებია აგრეთვე ხე-ტყის დამზადების ძირითადი პროცესების მექანიზაციის დაწესებული გეგმა, თუმცა ხე-ტყის დამზადების სამუშაოთა მექანიზაციის დონე ამაღლდა.

ბევრ მანქანათმშენებელ ქარხანაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია მოწყობილობის მოცდენა და არის დიდძალი უმოქმედო და დაუდგამელი მოწყობილობა, რომლის გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მანქანათმშენებლობის საწარმოო სიმძლავრეები.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა 1955 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია. თვითღირებულების შემცირებამ ნახევარ წელიწადში, წინასწარი მონაცემების მიხედვით, 3.8 პროცენტი შეადგინა. მაგრამ სატყეო მრეწველობის სამინისტრომ და ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი დანაკლისით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა.

მაშინ როცა თვითღირებულების შემცირების გეგმა საერთოდ დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, დიდძალი საწარმო ვერ ასრულებს თვითღირებულების შემცირების დავალებას, რომელიც მათ დაწესებული აქვთ. ბევრი სახეობის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება კვლავ დიდია.

მრეწველობის განვითარების წარმატებებმა, შრომის ნაყოფიერების ზრდამ და თვითღირებულების შემცირებამ, რაც მიღწეულია წინა წლებში და 1955 წლის პირველ ნახევარში, საშუალება მოგვცა, რომ 1955 წლის 1 ივლისიდან გაგვეხორციელებინა სათბობის, შავი და ფერადი ლითონების, მანქანებისა და მოწყობილობის, ქიმიკატების, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის პროდუქციისა და საშენი მასალების საბითუმო ფასების ახალი შემცირება, აგრეთვე ელექტროენერგიისა და თბოენერგიის, სარკინიგზო და საავტომობილო ტვირთზიდვის ტარიფების შემცირება.

III.

სოფლის მეურნეობა

კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა, რათა შექმნილიყო პირობები, რომ ვადამდე შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი.

კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით მოაწყეს საგაზაფხულო თესვა. გვიანი გაზაფხულის მიუხედავად, საგაზაფხულო კულტურების თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა. მზრალად ხნულში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს გაცილებით მეტი საგაზაფხულო კულტურები დათესეს, ვიდრე 1954 წელს. ჩვენს ქვეყანაში 1955 წელს დაითესა 21 მილიონი ჰექტარით მეტი საგაზაფხულო კულტურები, ვიდრე შარშან. საგაზაფხულო თესვის პერიოდში მნიშვნელოვანი ოდენობით შეიცვალა ნაკლებმოსავლიანი კულტურები უფრო მოსავლიანი კულტურებით, მკვეთრად გადიდდა სიმინდის ნათესი, გადიდდა მარცვლეული კულტურების ხვედრითი წონა. ხორბლის ნათესი ფართობი მიმდინარე წელს 11 მილიონი ჰექტარით გადიდდა. სიმინდი დაითესა სულ 17,9 მილიონი ჰექტარი, ანუ 13,6 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. სახოჭკოე სელი დაითესა შარშანდელზე დაახლოებით 360 ათასი ჰექტარით მეტი, შაქრის ჭარხალი — 180 ათასით, მზესუმზირა — 360 ათასით, კარტოფილი 330 ათასი ჰექტარით მეტი. მეტი წილი სიმინდი, მზესუმზირა და კარტოფილი დაითესა კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ფართობი უკრაინის, ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „მარცვლეულის წარმოების გასადიდებლად ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისების შესახებ“ გათვალისწინებულია, რომ 1956 წელს მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ახალათვისებულ მიწებზე ავიყვანოთ 28-30 მილიონ ჰექტარამდე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1954 წელს და 1955 წლის პირველ ნახევარში მოხნეს 26 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა, აქედან დაითესა 20 მილიონი ჰექტარი, ნაცვლად 13 მილიონი ჰექტარისა, რაც თავდაპირველად იყო დასახული 1955 წლის გეგმით.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის შექმნილია 300 ახალი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა, გარდა 124 საბჭოთა მეურნეობისა, რომლებიც შეიქმნა 1954 წელს.

1955 წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობამ მიიღო 79 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით) და 31,5 ათასი სათოხნი ტრაქტორი (ფიზიკური გაანგარიშებით), 58 ათასი სატვირთო ავტომობილი, 21 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 9 ათასი კარტოფილის ასაღები კომბაინი, 3.000 შაქრის ჭარხლის ასაღები კომბაინი, 48 ათასი ტრაქტორის გუთანი, 59 ათასი ტრაქტორის სათესი მანქანა, 12 ათასი კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილსათესი, 48 ათასი ტრაქტორის კულტივატორი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმების მანქანები და მოწყობილობა.

სოფლის მეურნეობაში ტრაქტორების რიცხვი 1955 წლის 1 ივლისისათვის შეადგენდა 1 მილიონ 400 ათასზე მეტს (15-ძალიანზე გაანგარიშებით) და მარცვლეულის კომბაინებისა — 350 ათასს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდის მეოხებით კიდევ უფრო მექანიზებულია საგაზაფხულო კულტურების თესვისა და ნათესების მოვლის სამუშაოები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1955 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობებში ხვნაზე გადაყვანით 29 მილიონი ჰექტარით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე შარშან იმავე პერიოდში.

გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. 9 თვეში — 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 ივლისამდე კოლმეურნეობებში წველადობა 28 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1953/54 წლის იმავე პერიოდში, და 52 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952/53 წელს. ერთი ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 ივლისამდე 17 პროცენტით გადიდდა 1953/54 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამ პერიოდში გადიდდა აგრეთვე ხორცის, მატყლისა და კვერცხის წარმოება. მაგრამ მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და ასს რესპუბლიკებში ჯერ კიდევ არ ექცევა საკმარისი ყურადღება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას, ტტკიცე საკვები ბაზის შექმნას, მეცხოველეობის სადგომთა და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა 1955 წლის 1 ივლისისათვის 1954 წლის 1 ივლისთან შედარებით გადიდდა: ძროხისა — 7 პროცენტით და ცხვრისა — 4 პროცენტით; ღორის სულადობა შემცირდა 2 პროცენტით. პირუტყვის სულადობა სახელმწიფო მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში იმავე პერიოდში გადიდდა: ძროხისა—10 პროცენტით, ღორისა — 6 პროცენტით და ცხვრისა — 7 პროცენტით.

გადიდდა ძროხისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, რომლებიც მოსახლეობას პირად სარგებლობაში ჰყავს.

ჩვენი ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობა 1955 წლის 1 ივლისისათვის 1954 წლის 1 ივლისთან შედარებით, წინასწარი მონაცემების მიხედვით, გადიდდა: ძროხისა — 6 პროცენტით და ცხვრისა — 6 პროცენტით; ღორის სულადობა დაახლოებით გასული წლის დონეზეა.

ამ უკანასკნელ ხანს დიდი მუშაობა შესრულდა კვალიფიციური კადრებით სოფლის მეურნეობის განსამტკიცებლად. ამჟამად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებშია: უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე დირექტორი 90 პროცენტამდე, მთავარი ინჟინერი — 90 პროცენტი, მთავარი აგრონომი — თითქმის 100 პროცენტი და მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოს გამგე — 70 პროცენტამდე.

IV.

სარკინიგზო, წყლის და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის ზრდა

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა რკინიგზის ტრანსპორტზე 1955 წლის პირველ ნახევარში 103 პროცენტით შესრულდა.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა შავი ლითონების, მადნის, კოქსის, ტორფის, შავი ლითონების ჯართის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების, ავტომობილების, მარცვლეულის, მარილის, შაქრის, ხორცის, თევზის, კონსერვების, ფეხსაცმლის, ავეჯის, აგრეთვე კონტეინერებით გადასაზიდი ტვირთების დატვირთვის გეგმა, არ არის შესრულებული ქვანახშირის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხე-ტყის, შეშის, ცემენტის, ეცეხლგამძლე მასალების, საშენი მასალების, მდნობების, ქიმიური და მინერალური სასუქების, ფქვილისა და ბურღულის, ბამბის, ქსოვილების დატვირთვის გეგმა.

1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით რკინიგზებზე ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 9 პროცენტით გადიდდა.

1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით შემცირდა სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დრო. სატვირთო ვაგონის ბრუნვის დაჩქარების დავალება 1955 წლის პირველ ნახევარში მთლიანად შესრულებულია, მაგრამ ცალკეულმა რკინიგზებმა ეს დავალება დანაკლისით შეასრულეს.

საზღვაო ფლოტის სამინისტრომ 1955 წლის პირველ ნახევარში ტვირთბრუნვის გეგმა შეასრულა 106 პროცენტით და ტვირთზიდვის გეგმა — 102 პროცენტით, მაგრამ ზოგიერთ საზღვაო სანაოსნოს გეგმა არ შეუსრულებია. საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 30 პროცენტით და ტვირთზიდვა — 18 პროცენტით.

1955 წლის პირველ ნახევარში სამდინარო ფლოტის სამინისტროს ტვირთბრუნვისა და ტვირთზიდვის გეგმა შესრულებული აქვს 87 პროცენტით. სამდინარო ტრანსპორტს არ შეუსრულებია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხე-ტყის, მინერალურ-საშენი მასალების გადაზიდვის გეგმა.

სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 8 პროცენტით, ხოლო ტვირთზიდვა დარჩა შარშანდელი წლის დონეზე.

საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა ტვირთბრუნვის გეგმა 1955 წლის პირველ ნახევარში შეასრულა 95 პროცენტით და ტვირთზიდვისა — 99 პროცენტით. ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 35 პროცენტით, ტვირთზიდვისა — 50 პროცენტით და ავტობუსებით მგზავრების გადაყვანისა — 48 პროცენტით. მაგრამ სატვირთო ავტომობილების გამოყენება ჯერ კიდევ საკმაო არ არის, სატვირთო ავტომობილების მოცდენა და ცარიელის ტარება კვლავ მაღალია.

V.

კაპიტალური მშენებლობის ზრდა

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1955 წლის პირველ ნახევარში შეადგენდა 111 პროცენტს 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით. მაგრამ მთლიანად სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 93 პროცენტით.

1955 წლის პირველ ნახევარში გადიდდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მძიმე მრეწველობის დარგებში, აქედან შავ და ფერად მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, ელექტროსადგურების მშენებლობაში, საშენი მასალების მრეწველობასა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგებში. გადიდდა აგრეთვე კაპიტალდაბანდებანი ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში. მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებანი მოხმარდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების საწარმოთა მშენებლობას.

1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა საბინაო მშენებლობის, სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, სამსავშვო ბაღებისა და ბაგების, პიონერთა ბანაკების, კინოთეატრებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის მოცულობა.

1955 წლის პირველ ნახევარში ანუშავდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ მთელ რიგ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა შესრულებული არ არის.

სამშენებლო სამინისტროებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გაადიდეს შემდეგი ოდენობით:

	1955 წლის I ნახევარი 1954 წლის I ნახევრის მიმართ პროცენტობით
სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო	110
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	113
ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	115
ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	113
ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრო	116
სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო	104
სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	123

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გადიდების მიუხედავად, სამშენებლო სამინისტროებმა 1955 წლის პირველი ნახევრის გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს.

1955 წლის პირველ ნახევარში სრულდებოდა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებისა და შემდგომი სპეციალიზაციის სამუშაოები, გაუმჯობესდა სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება, გადიდდა შრომის ნაყოფიერება, რამდენადმე შემცირდა მშენებლობის ღირებულება. ამასთან ერთად შესრულებული არ არის მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალება, საკმარისი არ არის მშენებლობაში მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის არსებული დონე, მთლიანად არ არის გამოყენებული მშენებლობებზე არსებული მანქანები და მექანიზმები და სუსტად ინერგება სამშენებლო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია; მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება თუმცა გადიდდა, მაგრამ ჯერ კიდევ უმნიშვნელოა.

მიუხედავად ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დამანზადებელ საწარმოთა მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა დიდი ზრდისა, ამ საწარმოთა მშენებლობის გეგმა 1955 წლის პირველ ნახევარში მთლიანად არ არის შესრულებული.

VI.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის ზრდა

1955 წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა.

1955 წლის პირველ ნახევარში **სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში** (შესადარ ფასებში) მოსახლეობას მიეყიდა 8 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1954 წლის პირველ ნახევარში. შესრულებულია სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ცალკეული სასურსათო საქონლის გაყიდვა 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით შემდეგი ოდენობით გადიდდა: ხორცისა და ხორცის პროდუქტებისა — 6 პროცენტით, მცენარეული ზეთის, მარგარინისა და გადადნობილი ქონისა — 15 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 5 პროცენტით, თევზისა და თევზპროდუქტებისა — 20 პროცენტით, ყველისა — 7 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 12 პროცენტით, კვერცხისა — 13 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდა 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით ცალკეული სამრეწველო საქონლის გაყიდვა, კერძოდ: ბამბის ქსოვილებისა — 10 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 10 პროცენტით, ტანსაცმლისა — 18 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 13 პროცენტით, წინდის ნაწარმისა — 15 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 6 პროცენტით, სარეცხი საპნისა — 23 პროცენტით. მნიშვნელოვნად უფრო დიდი ოდენობით გაიზარდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გაყიდვა: რადიომიმღებებისა — 22 პროცენტით, ტელევიზორებისა — დაახლოებით 45 პროცენტით, საათებისა—44 პროცენტით, ფოტოაპარატებისა — 48 პროცენტით, ავეჯისა — 17 პროცენტით, საკერავი მანქანებისა — 17 პროცენტით, სარეცხი მანქანებისა — თითქმის ოთხჯერ, მტვერსასრუტებისა — 24 პროცენტით, მაცივრებისა — 29 პროცენტით, ველოსიპედებისა — 20 პროცენტით, მოტოციკლებისა — 16 პროცენტით, მსუბუქი ავტომობილებისა — 30 პროცენტით.

საწარმოო დანიშნულების საქონლის გაყიდვა 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა შემდეგი ოდენობით: სამასალე მერქნისა — 1,5-ჯერ, სახურავი რკინისა — 18 პროცენტით, ცემენტისა — 39 პროცენტით, შიფერისა — 18 პროცენტით, ფანჯრის მინისა — 10 პროცენტით.

მიუხედავად სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების და გაყიდვის ზრდისა, მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საქონელზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ამავე დროს ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია სწორად არ ანაწილებს საქონელს რაიონებში და საქონელი ცალკეულ რაიონებში შეაქვს მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. საქონელბრუნვაში საკმაოდ არ შედის დამატებითი სასაქონლო რესურსები ადგილობრივი ნედლეულისაგან საქონლის წარმოების უფრო ფართო განვითარებით.

საგარეო ვაჭრობის დარგში საბჭოთა კავშირი 1955 წელს განაგრძობდა ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას უცხოეთის ქვეყნებთან; ამჟამად საბჭოთა კავშირი ვაჭრობას ახორციელებს უცხოეთის 58 სახელმწიფოსთან.

VII.

მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშების და მოსამსახურეების საერთო რაოდენობა სახალხო მეურნეობაში 1955 წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის 1954 წლის პირველი ნახევრის დამლევის რაოდენობასთან შედარებით ერთი მილიონით და მეტით გადიდდა. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სპეციალისტების რაოდენობა გადიდდა 900 ათასით და მეტით. გადიდდა მუშაკთა რაოდენობა სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ და სამკურნალო დაწესებულებებში, ვაჭრობაში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და სახინაო-კომუნალურ მეურნეობაში. დაწესებულებებსა და საწარმოთა სამმართველო აპარატში მომსახურეთა რაოდენობა შემცირდა უშუალოდ წარმოებაში მათი ნაწილის გადასვლასთან დაკავშირებით.

1955 წლის პირველ ნახევარში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, სამთო-სამრეწველო სკოლები და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 315 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა, აქედან 235 ათასი მექანიზატორი გაიგზავნა სოფლის მეურნეობაში. ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობისა და კურსებზე სწავლების გზით კვალიფიკაცია აიმაღლა და ისწავლა სამნახევარ მილიონზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ.

შრომის ნაყოფიერება 1955 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობაში გადიდდა 7 პროცენტით და მშენებლობაში — 10 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა მთლიანად როგორც მრეწველობაში, ისე მშენებლობაში შესრულებულია. მაგრამ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების 1955 წლის პირველი ნახევრის გეგმა ვერ შეასრულეს სატყეო მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამამზადებელმა საწარმოებმა. გეგმა ვერ შეასრულა აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის, საშენი მასალების მრეწველობის, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის, თევზის მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა დარგის ბევრმა საწარმომ.

VIII.

კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა

ქალაქებში და სოფელ ადგილებში გრძელდებოდა საშუალო სკოლების ქსელის გაფართოება. საშუალო სკოლების რაოდენობა, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ჩათვლით, 1955 წლის პირველ ნახევარში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა სამნახევარი ათასით, ხოლო სულ მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საშუალო სკოლების რაოდენობა თითქმის 13 ათასით გადიდდა.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა და სიმწიფის ატესტატის მიმღებთა რაოდენობა წელს შარშანდელ წელთან შედარებით გადიდდა 25 პროცენტით, ხოლო 1950 წელთან შედარებით — სამნახევარჯერ.

წელს უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები, დაუსწრებლად მოსწავლეთა ჩათვლით, გამოუშვებენ 640 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, ანუ 80 ათასით მეტს, ვიდრე შარშან.

1955 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა კინოდანადგართა რაოდენობა და გაძლიერდა კინოთეატრებში მაყურებელთა დასწრება. კინოთეატრებში მაყურებელთა რაოდენობა 1955 წლის პირველ ნახევარში 38 პროცენტით გადიდდა 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა, რომლებიც ქალაქგარეთ და ქალაქის პიონერთა ბანაკებში და საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში ისვენებენ ან აგარაკებზე გაემგზავრნენ სამსავშვო ბაღებთან, საბავშვო სახლებთან და სამსავშვო ბაგებთან ერთად. სოფელ ადგილებში ბავშვებისათვის დიდი რაოდენობით გახსნილია საზაფხულო სამსავშვო მოედნები.

გაფართოვდა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, სამსავშვო ბაგებისა და ბაღების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი, გაძლიერდა უახლესი სამედიცინო აპარატურით, მოწყობილობით და ინსტრუმენტით სამკურნალო დაწესებულებათა აღჭურვა. მედიკამენტების, სამედიცინო მოწყობილობისა და ინსტრუმენტების წარმოება 30 პროცენტით გადიდდა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით.

1955 წლის პირველ ნახევარში 23 მილიონამდე კაცმა ისარგებლა მორიგი შვებულებით, რაც ყოველწლიურად ეძლევა ყველა მუშა-მოსამსახურეს ხელფასის შენახვით. გადიდდა იმ მშრომელთა რაოდენობა, რომლებმაც თავიანთი შვებულება გაატარეს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საგზურებით, რომლებიც მათ უფასოდ ან შეღავათიან ფასად მიეცათ.

* * *

1955 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას და სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

საზეიმო სხდომა ვარშავაში პოლონეთის აღორძინების დღისადმი

ვარშავა, 21 ივლისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი პოლონეთის აღორძინების დღისადმი. ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლის კონგრესთა დარბაზში შეიკრიბა ვარშავის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

პრეზიდიუმში არიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ბ. ბერუტი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სახელმწიფო საბჭოს, მთავრობის წევრები, პოლონეთის ჯარის გენერლები, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მეთაურები.

სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ვარშავაში აკრედიტებულ მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

სხდომა გახსნა ბ. ბერუტმა.

მოხსენება გააკეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა მ. ა. სუსლოვმა, რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების მეთაურებმა.

ამხ. ა. ზავადსკის მოხსენება

ა. ზავადსკიმ თავისი მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ პოლონეთის მშრომელები თავისი ქვეყნის აღორძინების დღეს დღესასწაულობენ სასიხარულო ერთიანობით, საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებთან მზარდი გულითადი მეგობრობის პირობებში.

განვლილი 10 წელიწადი, თქვა მან, იყო პოლონეთის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დიდ და თავდადებულ ღონისძიებათა წლები, ღონისძიებათა, რომლებსაც ისინი იჩენენ კლასობრივი ბრძოლის პირობებში, იმ მრავალი სიძნელის ყოველდღიურ გადალახვაში, რომლებიც წარმოდგება იმ მემკვიდრეობიდან, რაც დატოვა ექსპლოატატორულმა წყობილებამ, აგრეთვე ომითა და ოკუპაციით გამოწვეულმა ნგრევამ.

ათი წლის ღონისძიებათა შედეგების შეჯამებისას ჩვენ ვხედავთ ჩვენი სამშობლოს დღევანდელი დღის ნათელ და მართალ სურათს. ამ სურათის ყველაზე არსებითი თავისებურებაა დაუცხრომელი, საყოველთაო განვითარება, ზრდა, აღმავლობა, ახალი სოციალისტური წყობილების საფუძველზე ახლის დამყარების რევოლუციური პროგრესი ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს, ხალხისა და მისი ცხოვრების ახალი სოციალისტური სულისკვეთებით.

თუ ომამდელი პოლონეთი ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების დროს არსებობდა ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ქრონიკული უძრაობის ნიშნით, რითაც სარგებლობდნენ ადგილობრივი და უცხოელი კაპიტალისტი მტაცებლები, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების დამახასიათებელია სწორედ დაუცხრომელი წინსვლა, ნაკლოვანებათა დაუღალავი გადალახვა, მუდმივად მზარდი სოციალისტური შეტევა. თუ კაპიტალისტებისა და მემამულეების პოლონეთისათვის დამახასიათებელი იყო უწინარეს ყოვლისა უიმედობა, სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების უქონლობა, თვითეული მშრომელისათვის, ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ფართო მასებისათვის მომავლის პერსპექტივების უქონლობა, დღეს ხალხსა და მის ახალგაზრდობას აქვს ასეთი პერსპექტივა. დღეს თვითეულ პოლონელს ესმის, რომ სახალხო ხელისუფლებას იგი მიჰყავს უკეთესი მომავლისაკენ. როგორ შეიცვალა 1939 წელთან შედარებით პოლონეთი დღეს, სახალხო ხელისუფლების მე-11 წელს!

1955 წელს სამრეწველო წარმოების დონემ მოსახლეობის ერთ სულზე 5,7-ჯერ გადააჭარბა ომამდელი დონეს. ჩვენ ვადნობთ 4,3 მილიონ ტონა ფოლადს, თითქმის ერთისამად ნეტს, ვიდრე 1938 წელს, მანქანებს ვამზადებთ 9-ჯერ მეტს, ვიდრე ომამდე, ქვანახშირს ამჟამად ვიღებთ 93,5 მილიონ ტონას, ე. ი. 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე ომამდე. იმის მეოხებით, რომ ჩვენი მრეწველობა უკიდ შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით, უკვე დღეს შეგვიძლია დავამზადოთ პირველხარისხოვანი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების სათუძველზე მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. გადიდდა მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების — პურის, ხორცის, ცხიმების, შაქრის, აგრეთვე სამრეწველო საქონლის მოხმარება.

ა. ზავადსკიმ აღნიშნა ახალგაზრდობის თვალსაჩინო როლი პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობაში და თქვა, რომ იქნასწლედის ბევრი დიდი ობიექტი, ისეთები, როგორიც არის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი, ვარშავის საავტომობილო ქარხანა, პოლტრკოვის საფეიქრო კომბინატი, ენძეჟინის ქიმიური კომბინატი და სხვები, ჭეშმარიტად ახალგაზრდობის შრომის ნაყოფია.

ჩვენი ქვეყანა და ხალხი, — განაგრძო ზავადსკიმ, — თავის წარმატებებსა და მიღწევებს უნდა უმადლოდეს მუშათა კლასის პარტიის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, რომელიც მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრების ნათელი სხივებით აშუქებდა ჩვენს გზას, რომლის სწორი პოლიტიკური ხაზი მთელ ხალხს უჩვენებდა შემოქმედებით ღონისძიებათა გზას.

ჩვენს წარმატებებსა და მიღწევებს უნდა ვუმადლოდეთ პოლონელ ხალხსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებს შორის ურთიერთობის ძირეულ შენობრუნებას, საბჭოთა კავშირთან მეგობრულ თანამშრომლობას, იმ უდიდეს და უანგარო დახმარებას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ადამიანები გვიწევენ ყველა სიძნელის დროს, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით, და ყველა ჩვენი გაბედული წამოწყების განხორციელების დროს.

პოლონელმა მეცნიერებმა, რომლებიც იმ სასახლის ერთ-ერთი პატრონები არიან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, უკანასკნელ თვეებში მიიღეს საბჭოთა დახმარების ახალი მნიშვნელოვანი დადასტურება, მეგობრობის ფასდაუდებელი დადასტურება — შესაძლებლობა გაეცნონ საბჭოთა გამოკვლევებს ატომის ენერგიის დარგში, რათა პოლონეთში მშვიდობიანი მიზნით გამოვიყენოთ იგი. ეს ახალ პერსპექტივებს უქმნის პოლონური მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

გადავიდა რა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, ა. ზავადსკიმ თქვა:

დღეს პოლონელი ხალხი — თავისი ახალი ისტორიის შემოქმედი, თავისი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ერთადერთი ბატონ-პატრონი, აქტიური ძალაა, რომელიც განსაზღვრავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა გამომდინარეობს პოლონელი ხალხის უღრმესი ინტერესებიდან და სწორედ ამიტომ იგი ემთხვევა მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს. სწორედ ამიტომ იგი აგრეთვე ემთხვევა საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთის, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა აგრეთვე ემთხვევა გერმანელი ხალხის მშრომელი მასების უღრმეს ინტერესებსა და მშვიდობიან დემოკრატიულ მისწრაფებებს, რომელთა გამომხატველია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

სახალხო პოლონეთის მშვიდობიანი და პროგრესული პოზიციის მეოხებით ჩვენ განსაკუთრებით წარმატებით უზრუნველვყავით ჩვენი ხალხის ძირეული ინტერესები. ყველა ჩვენი საზღვარი აღმოსავლეთში, დასავლეთსა და სამხრეთში მეგობრობისა და მშვიდობის საზღვრებია, რომლებიც გვაერთებენ სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან. ჩვენი საზღვარი ოდერსა და ნოისეზე ზგოჟელეცში ხელმოწერილი ხელშეკრულების ნეოხებით, რომლის ხუთი წლისთავი ამას წინათ ზეიმით აღინიშნა ამ საზღვრის ორივე მხარეზე, პოლონელი ხალხისა და გერმანელი ხალხის მეგობრობის საზღვარი გახდა. პოლონეთისა და მისი დასავლეთის საზღვრის უშიშროების საგუშაგოზე დღეს დგას არა მარტო პოლონელი ხალხი, არამედ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილესთან ერთად.

ზავადსკიმ ხაზგასმით აღნიშნა ვარშავის ხელშეკრულების როგორც ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროების დიდი რგოლის უდიდესი მნიშვნელობა.

აღნიშნა რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უდავო უფლება იყოს წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩინელი ხალხის უფლება ტაივანისადმი, ზავადსკიმ რწმენა განოთქვა, რომ აზიის ყველაზე დიდი ხალხის ეს კანონიერი უფლებანი საესებით დაკმაყოფილდება.

ჩვენი დღესასწაულის წლისთავი, საბით მთელ პოლონელ ხალხს დიდ ეროვნულ დღესასწაულთან — ახალი, სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის დაბადების წლისთავთან დაკავშირებით. (ხანგრძლივი ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ეზიარებენ სიხარულის გრძნობას, რომელსაც პოლონელი ხალხი თავისი ეროვნული დღესასწაულის დღეს განიცდის. დრომ, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა და პოლონეთის ჯარის საბრძოლო ნაწილებმა პოლონეთის ტერიტორია გაათავისუფლეს ფაშისტ დამპყრობთაგან, ყველას თვალნათლივ უჩვენა, რომ თქვენი ხალხის ისტორიაში დაიწყო ნამდვილი ახალი ეპოქა, პოლონეთის ეროვნული და სოციალური აღორძინების ეპოქა.

სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების არსებობის 11 წელიწადში პოლონელმა ხალხმა ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა განვლო. მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეთაურობით პოლონელმა ხალხმა სამუდამოდ განამტკიცა თავის ქვეყანაში სახალხო დემოკრატიის წყობილება და წარმატებით ავითარებს და განამტკიცებს ახალ, თავისუფალ, დამოუკიდებელ სახალხო-დემოკრატიულ პოლონეთს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ სამუდამოდ მოუღო ბოლო მემამულეთა და კაპიტალისტთა მიერ ჩაგვრას. სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ პოლონეთში მშრომელთა ინტერესებისათვის განახორციელა დიდი რევოლუციური საზოგადოებრივ-ეკონომიური გარდაქმნები: აგრარული რეფორმა, მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტისა და ბანკების ნაციონალიზაცია, მაგრამ მან არა მარტო გადასცა სიმდიდრე ექსპლოატატორთა ხელიდან მშრომელებს — ამ სიმდიდრის ნამდვილ შემქმნელებს. სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ბევრად გაამრავლა ქვეყნის სიმდიდრე, მოკლე ვადაში აღადგინა დანგრეული მეურნეობა და წარმატებით ახორციელებს პოლონეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობას.

წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი და იმპერიალისტების მიერ სასტიკად ექსპლოატირებული ქვეყნიდან პოლონეთი თავისი ხალხის თავდადებული შრომით გადაიქცა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ახლა უკვე უდავოა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფო გახდა.

სახალხო პოლონეთის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1954 წელს ომამდელი 1938 წლის დონეს ოთხჯერ და მეტად გადააჭარბა. დიდი წარმატებებია მოპოვებული მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში — მეტალურგიის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის განვითარებაში. შეიქმნა წარმოების ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის ტრაქტორმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა, გემთმშენებლობა და სხვ.

ჩვენ აგრეთვე ვხედავთ, რომ პოლონელი ხალხი წარმატებით იბრძვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად სახალხო პოლონეთში წარმატებით ვითარდება მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება, რომლებიც მშრომელთა ფართო მასების კუთვნილება გახდა.

პოლონელი ხალხის წარმატებებმა განუსაზღვრელად განამტკიცეს სახალხო პოლონეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, გააძლიერეს მისი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ახლა დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ყველა ღონისძიებაში, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში.

პოლონელი ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი დამჯერებლად ცხადყოფენ სახალხო-დემოკრატიული წყობილების უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე, მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრების დიად სასიცოცხლო ძალას. პოლონელი ხალხის მიღწევები, ისევე როგორც ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის მშრომელებისა, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, კვლავ და კვლავ ადასტურებს ლენინის შესანიშნავ სიტყვებს, რომ „სოციალიზმი შეიცავს გიგანტურ ძალებს და რომ კაცობრიობა ახლა გადავიდა განვითარების ახალ სტადიაში, რომელსაც არაჩვეულებრივად ბრწყინვალე შესაძლებლობანი მოაქვს“.

ძლიერი, დამოუკიდებელი სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის აღორძინებისათვის, თავის ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობისათვის ბრძოლაში პოლონელ ხალხს ჰყავდა და ჰყავს ერთგული მეგობრები საბჭოთა კავშირისა და მძლავრი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ხალხთა სახით. (ტაში).

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს მეგობრობას თავისუფალ პოლონელ ხალხთან. იგი გულითადი თანაგრძნობით და სიყვარულით ადევნებს თვალყურს მოძმე პოლონელი ხალხის შრომითს გმირობას, დიდად და გულწრფელად უხარია და აღტაცებულია თქვენი შესანიშნავი წარმატებებით მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. (ტაში).

ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც განმტკიცდა და გამოიწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, შემდგომ განვითარდა მშვიდობიანი მშენებლობის ომისშემდგომ წლებში.

ამ ცოტა ხნის წინათ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებმა ფართოდ აღნიშნეს ჩვენი ქვეყნების მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების სახელოვანი მეათე წლისთავი, რაც მომძე საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია გახდა.

პოლონეთისათვის უსასყიდლოდ გადაცემა საბჭოთა კავშირის ძალებით და სახსრებით აგებული კულტურისა და მეცნიერების მშვენიერი და დიდებული სასახლისა, რომელშიც ამჟამად ეს საზეიმო სხდომა ნიმდინარეობს, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის ახალი დადასტურებაა. დაე ეს სასახლე იყოს ჩვენი ხალხების დიდი და სამარადისო მეგობრობის მკაფიო სიმბოლო! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყნის მეგობრობა ურღვევი და სამარადისოა. ეს მეგობრობა თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე დიდი, ყველაზე მნიშვნელოვანი თაქტორია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, სწორედ ისე, როგორც ერთიანი დემოკრატიული ბანაკის ყველა ქვეყანას შორის, არის ახალი, წინათ უმაგალითო ურთიერთობა სოციალისტური ტიპისა, რომელიც დამყარებულია მშრომელთა დიდი საბოლოო მიზნის ერთიანობასა და ძირეულ ინტერესებზე, სრული თანასწორუფლებიანობის, ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე. იგი არის თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების მეგობრობის შესახებ ლენინის დიადი იდეების განხორციელება, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ზეიმი.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ერთიანობამ შემდგომი განმტკიცება ჰპოვა რვა სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, რომელიც მიმდინარე წლის მაისში დაიდო თქვენს დედაქალაქ ვარშავაში. ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ვარშავის თათბირზე მიღწეულ შედეგებს ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნების დარაზმულობისა და ურღვევი ძალის ახალ მკაფიო დადასტურებას წარმოადგენენ. (ტაში).

ავითარებენ რა თავიანთ მშვიდობიან ეკონომიკას, საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებით, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფით. საბჭოთა მთავრობა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობები მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის მხარდაჭერით განუხრელად და თანმიმდევრულად იბრძვიან მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ჩვენი ქვეყნების ხალხები და მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირს, რომელიც ამ დღეებში წარმოვებს ჟენევაში. ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებს მხურვალედ სურთ, რომ ამ თათბირის მონაწილეებმა ერთობლივი ღონისძიებებით გამონახონ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების გზები. (ტაში).

ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და უშიშროების საქმეში შეტანილი დიდი წვლილი იყო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება. ბელგრადის მოლაპარაკების შედეგებმა ცხადყო, რომ, მტრული ძალების ხრიკების მიუხედავად, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას ყველა შესაძლებლობა აქვს განმტკიცდეს და განვითარდეს. დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთმა და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანამ გამოიჩინეს სრული ერთსულოვნება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგების შეფასებაში. შეხედულებათა სრული ერთიანობა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და იუგოსლავიის მეგობრობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საკითხებში, რადგან ეს შეესაბამება მათი ხალხების ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს! (ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! ეჭვი არ არის, რომ სახალხო პოლონეთი უახლოეს წლებში უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამის საწინდარია სულ უფრო მზარდი კავშირი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისა, მთელი პოლონელი ხალხის მზარდი დარაზმვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და სახალხო მთავრობის გარშემო, მეგობრობა და კავშირი საბჭოთა ხალხთან და მთელი სოციალისტური ბანაკის ხალხებთან.

პოლონეთის მშრომელებს შეუძლიათ ეჭვი არ შეიტანონ იმაში, რომ საბჭოთა ხალხი კვლავაც მათი საიმედო და გულწრფელი მეგობარი იქნება, კვლავაც განავითარებს და განამტკიცებს ჩვენი მეგობრული ქვეყნების ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას, გაუწევს პოლონელ ხალხს ყოველმხრივ დახმარებას და მხარდაჭერას ახალი, მშვენიერი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში. (ხანგრძლივი ტაში).

ნება მიბოძეთ აღორძინების სახელოვანი ეროვნული დღესასწაულის დღეს ნიჭიერ და შრომისმოყვარე პოლონელ ხალხს ეუსურვო ახალი, შესანიშნავი გამარჯვებანი სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს მოძმე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძლეველი ბანაკის მტკიცე რგოლს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს გმირ პოლონელ ხალხს, რომელიც თავდადებით აშენებს სოციალიზმს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა — პოლონელი ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს პოლონელი და საბჭოთა ხალხების სამარადისო და ოროვე მეგობრობას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

პოლონელ ხალხს საზეიმო ვითარებაში გადაეცა კულტურისა და მეცნიერების სასახლე

ვარშავა, 22 ივლისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიმართა კულტურისა და მეცნიერების სასახლის გახსნისა და საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთის მთავრობისათვის გადაცემის საზეიმო ცერემონია. ეს სასახლე აშენდა საბჭოთა კავშირის ძალებითა და სახსრებით და ძღვნად გადეცა მომძე პოლონელ ხალხს.

სასახლის წინ მოედანზე შეიკრიბა ვარშავის ათასობით მცხოვრები, პოლონეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ზეიმზე მოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის წევრები. ზეიმზე მოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ა. სუსლოვის მეთაურობით.

დესწრნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები, რომლებიც ვარშავაში ჩამოვიდნენ პოლონეთის აღორძინების დღის დღესასწაულზე, აგრეთვე ვარშავაში აკრედიტებულ მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

მიტინგის დაწყების წინ შეესრულეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

შემდეგ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პოლონეთში პ. კ. პონომარენკომ საბჭოთა მთავრობის სახელით და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა პოლონეთის მთავრობის სახელით ხელი მოაწერეს ოქმს იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას უსასყიდლოდ გადასცა კულტურისა და მეცნიერების სასახლის მაღალი შენობა ქალაქ ვარშავაში. ამის შემდეგ შეკრებილ სიტყვით მიმართა პ. კ. პონომარენკომ, რომელმაც დასასრულ, მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში, გადასცა ი. ცირანკევიჩს სასახლის გასაღები.

სასპასუხო სიტყვა წარმოთქვა ი. ცირანკევიჩმა. პ. კ. პონომარენკოს და ი. ცირანკევიჩის სიტყვების დროს ხშირად გაისმოდა მიტინგის მონაწილეთა ტაში და შეძახილები პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ი. ცირანკევიჩმა გადაჭრა ლენტი შესასვლელთან და მიიწვია მიტინგის მონაწილენი სასახლის შენობის დასათვალიერებლად.

ამხ. მ. ა. სუსლოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ძმური სალამი და მხურვალე მოლოცვა თქვენ და თქვენი

რედაქტორი ნ. ჯაში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 03975 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.